


გარემოზე ზემოქმედების შეფასება

დანართი 3

საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმა



სარჩევი

1. შესავალი

2 პროექტის მოკლე აღწერა

3 პროექტის მიზნები და ამოცანები

4 რესურსები და მოვალეობები

5 საქართველოს სახელმწიფო საკანონმდებლო მოთხოვნები საჯარო განხილვებთან დაკავშირებით

რრორ! ოოკმარკ ნოტ დეფინედ. დაინტერესებული საზოგადოება რრორ!
ოოკმარკ ნოტ დეფინედ.

7. ინფორმაციის გამოქვეყნება, პროცესი და მონაწილეობა რრორ!
ოოკმარკ ნოტ დეფინედ.

- სკოპინგის ფაზა
- გზშ -ს ფაზა

8. საზოგადოების კომენტარები და გასაჩივრების პროცედურა რრორ!
ოოკმარკ ნოტ დეფინედ.

9. დანართები

დანართი №1 – საჯარო საჩივრის ფორმა

დანართი №2 – საჯარო კონსულტაციების დროის განრიგი

დანართი №3 - საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო კონვენციები

დანართი №4 – ჩატარებული საჯარო კონსულტაციები

1. შესავალი

დოკუმენტი წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვის პროექტის საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმის განახლებულ ვერსიას გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესისათვის, რომელიც მომზადდა და განხორციელდა 2008 წლის სექტემბრიდან 2009 წლის აპრილამდე პერიოდში.

დოკუმენტი წარმოგვიდგენს პროექტში უშუალოდ ჩართულ პირებს, ან იმ მონაწილეებს, რომლებზეც პროექტმა შესაძლებელია გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინოს. იგი ასევე წარმოადგენს ინფორმაციის გამოქვეყნების განრიგს, საჯარო განხილვების პროცესს და არსებული შენიშვნებისა და პრობლემების დიალოგის გზით მოგვარების ხერხებს.

2. პროექტის მოკლე აღწერა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა („აჭარა“ ან „რესპუბლიკა“) წარმოადგენს საქართველოს სამი ავტონომიური რესპუბლიკიდან ერთ-ერთს, რომელიც მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომლის მოსახლეობა შეადგენს 380 000 ადამიანს. საქართველოს ხელისუფლება მხარს უჭერს აჭარის მცდელობას გააძლიეროს თავისი ეკონომიკა და ბიუჯეტის დამოუკიდებლობა. მყარი ნარჩენების მართვის (მნმ)¹ სისტემის გაუმჯობესებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანმრთელობის და გარემოსდაცვითი შედეგების თვალსაზრისით, ასევე ტურიზმის მხარდასაჭერად, რაც აჭარის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებისამებრ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სტრატეგია იმაზე მიუთითებს, რომ როგორც მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების თანამედროვე სისტემების მართვაში, ასევე დედაქალაქის ფარგლებს გარეთ ჩადებული ინვესტიციები პრიორიტეტულ სფეროებს განეკუთვნება.

პროექტის მიზანია აჭარაში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება 2-საფეხურიანი მიდგომით, რომლის მიხედვითაც თავდაპირველად ფოკუსირება მოხდება ქალაქ ბათუმსა (მოსახლეობა: 123 000) და ქობულეთზე (მოსახლეობა: 20 000). მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა საქმიანობამ უნდა მოიცვას აჭარის მთელი რეგიონი, ბათუმი მაინც ყველაზე მნიშვნელოვან მუნიციპალიტეტად რჩება, რომელსაც უდიდესი როლი მიენიჭება. ბათუმი აჭარის დედაქალაქია, რომელსაც აქვს პორტი, ნავთობტერმინალი და ტურისტული ინდუსტრია. 2005 წელს აჭარა, უმეტესად ბათუმი და ქობულეთი, 100 000-ზე მეტ ტურისტს მასპინძლობდა.

ბათუმისა და ქობულეთის ადგილობრივი უწყებები მიიჩნევენ, რომ ბათუმის და ქობულეთის ამჟამად მოქმედი სტანდარტებთან შეუსაბამო ნაგავსაყრელები სერიოზულ ზიანს აყენებენ გარემოს. ზემოხსენებულმა უწყებებმა წარმოადგინეს ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობის პოტენციური ადგილსამყოფელი და სურვილი აქვთ ბათუმის მერიის

¹ მყარი ნარჩენები მოიცავს ოჯახების, დასახლებული ტერიტორიების, კომერციული დაწესებულებების მიერ წარმოქმნილ ნარჩენებს, ასევე არასახიფათო სამრეწველო ნარჩენებს, სხვადასხვა დაწესებულების მიერ წარმოქმნილ ნარჩენებს (სამედიცინო დაწესებულებების არასახიფათო ნარჩენები, სკოლების, ოფისების, სასტუმროების და ა.შ.).

დანართი 3

მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის კომპანია გადაიქცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მყარ ნარჩენებზე პასუხისმგებელ რეგიონალურ კომპანიად. მათ მიერ შემუშავებულ იქნა მოსახლეობისგან მოსაკრებლის ამოღების რეფორმა და შეიქმნა კომისია, რომელიც შეისწავლის აჭარაში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს (მათ შორის ახალი ნაგავსაყრელი პოლიგონის აშენება, არსებული ნაგავსაყრელი პოლიგონების დახურვა, ნარჩენების შეგროვებისა და გადატანის სისტემის ორგანიზება და მყარი ნარჩენების მართვის რეგიონალური კომპანიის დაარსება).

2005 წლის მაისში შავი ზღვის საინვესტიციო სააგენტოს (BSIF) დაფინანსებით ჩატარდა პირველი წინასწარი შესწავლა, რომლის საფუძველზე დადგინდა, რომ პროექტი მოწონებულია და შესაძლებელია მისი გარკვეული პირობებით (კერძოდ კი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოსაკრებლის შეგროვება და შესაბამისი ინსტიტუციონალური განვითარება) დაფინანსება.

2006 წელს თაღესის საკონსულტაციო ჯგუფმა, GWK კონსალტმა და Sogreah ჯგუფმა დაასრულეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემასთან დაკავშირებით მეორე წინასწარი შესწავლა. საბოლოო ანგარიში ჩაბარებულ იქნა 2006 წლის 20 დეკემბერს. აღნიშნული მისია დაფინანსდა BSIF-ის მიერ. შესწავლის შესახებ ანგარიში სიღრმისეულად მიმოიხილავს იურიდიულ და ინსტიტუციონალურ ჩარჩოებს, ასევე მოიცავს საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების ნორმებს, სტანდარტებს და არსებული რეალობის აღწერას, ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის აშენების ტექნიკურ შესაძლებლობებსა და ორი არსებული შეუსაბამო ნაგავსაყრელის პოლიგონის დახურვისა და აღდგენის გეგმას.

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, პროექტი 3 ფაზად ვითარდება, რომელიც მოიცავს ბათუმისა და ქობულეთის ორი არსებული შეუსაბამო ნაგავსაყრელი პოლიგონის დახურვას, ახალი ადგილის შერჩევასა და ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობის დეტალურ დიზაინს.

I ფაზა: წინასწარი შესწავლა (აღნიშნული ფაზა დასრულებულია)

როგორც აქამდე ავლნიშნეთ, ზემოხსენებული წინასწარი შესწავლის მე-2 ფაზა, რომელიც მოიცავდა პირველი ფაზის მოსამზადებელ სამუშაოებს, უკვე დასრულდა. აღნიშნული ფაზის განმავლობაში გამოყენებულ იქნა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ამჟამად არსებული გამოცდილება და წარმოდგენილ იქნა შემოთავაზებები მისი გაუმჯობესებისათვის, ასევე შემოთავაზებულ იქნა ჩაქვის ნაგავსაყრელი პოლიგონის წინასწარი დიზაინი და ბათუმისა და ქობულეთის ორი არსებული შეუსაბამო ნაგავსაყრელი პოლიგონის დახურვის პროექტი. წინასწარ შესწავლაზე დაყრდნობით პროექტი კონცეპტუალური განხილვის მიზნით 2005 წლის ოქტომბერში წარედგინა ერგბ-ს. ანგარიში მეორე წინასწარი შესწავლის თაობაზე კი წარდგენილ იქნა 2006 წლის დეკემბერში.

ამჟამად, ჩვენ ჩართული ვართ მე-2 და მე-3 ფაზად წოდებულ პროცესებში.

II ფაზა: არსებული მდგომარეობის შეფასება – პროექტის შემოთავაზება

გვერდი 4. სულ 29 გვერდი

დანართი 3

მე-2 ფაზის განმავლობაში წინამდებარე შესწავლის დროს გამოვლენილი აღმოჩენები უნდა იქნეს დადასტურებული და საჭიროების შემთხვევაში შეტანილ იქნას შესწორებები, შემოთავაზებული პროექტის კომპონენტები კი ხელახლა შეფასდება და უფრო დეტალურად იქნება განვითარებული.

III ფაზა: ტრანსაქციების ფაზა

მე-3 ფაზის განმავლობაში დასრულდება დაფინანსების პროცესი. პროექტისათვის მისაღები კონცეპტუალური ფორმატის გათვალისწინებით აღნიშნული ფაზის დროს საჭირო ტექნიკურმა დახმარებამ შესაძლებელია მოიცავს მთავარი სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ტენდერის ჩატარებაში დახმარება პროექტში კერძო სექტორის მონაწილეობის მიზნით.

მე-2 და მე-3 ფაზაში დასრულებული გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზმ) მოიცავს ასევე ახალი ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობის საკითხებს (ნაგავსაყრელი პოლიგონის მოწყობის ალტერნატივებსა და სასურველ დიზაინს).

3. პროექტის მიზნები და ამოცანები

პროექტის საერთო მიზანია აჭარაში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის დახვეწა ინსტიტუციონალური, იურიდიული, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოდაცვითი თვალსაზრისით, ასევე აჭარის რეგიონში ნარჩენების სწრაფად მზარდი რაოდენობის საკითხისადმი მიდგომის გაუმჯობესება, მათ შორის კერძო სექტორის პოტენციური ჩართვა.

პროექტის სპეციფიკური მიზნები/ამოცანები:

- ნაგავსაყრელის პოლიგონის მშენებლობისათვის ადრეულ ეტაპზე შერჩეული ჩაქვის ადგილსამყოფელის ხელახალი შეფასება და სხვა ალტერნატიული შესაბამისი ადგილების იდენტიფიკაცია ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი გადაწყვეტილებასთან შედარებითა და შეფასებით;
- ქალაქებში ინვესტიციების შესახებ შემოთავაზებების განხილვა და ინვესტირების დეტალური პროგრამის შედგენა, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ნარჩენების შემგროვებელი სატვირთო მანქანებით, ასევე არსებული ორი შეუსაბამო ნაგავსაყრელი პოლიგონის დახურვა, ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის აშენება, გადამცემი სადგურების ფასების დადგენა და ელექტროენერჯის წარმოქმნის მიზნით ბიოგაზის (მეთანის) გამოყენების ხარჯების დადგენა;
- არსებულ სტანდარტებთან შეუსაბამო ნაგავსაყრელებიდან და ახალი დაგეგმილი ნაგავსაყრელიდან წარმოქმნილი ბიოგაზის გამოყენებით გამოწვეული სათბურის გაზების ემისიების პოტენციური შემცირების შეფასება;
- ახალი ნაგავსაყრელი პოლიგონის პროექტის გარემოზე გავლენის შეფასება და 120 დღიანი საჯარო განხილვების კამპანიის გამართვა ერგბ-ს გარემოსდაცვითი პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად.
- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების სისტემის ინსტიტუციონალურ ცვლილებებთან (აღნიშნულ მომსახურეობაზე პასუხისმგებელი კომპანიის დაარსება, საკანონმდებლო

და ინსტიტუციონალური ცვლილებების შემუშავება) დაკავშირებით საჭირო რეკომენდაციის შემუშავება;

- პროექტის ეკონომიკური გათვლების განხორციელება, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის კამპანიის ფინანსური ანალიზი და სესხის ვადების შესაბამისი ბიზნეს გეგმა (დადგენილი 8-10 წლის ვადით), ასევე ეკონომიკური უკუგების მაჩვენებლის (ეკონომიკური და ფინანსური) გამოთვლა.

4. რესურსები და მოვალეობები

პროექტის ინიციატორი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო, იქნება საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირველი პირი („მასპინძელი“). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ხელმძღვანელობა ხელს მოაწერს ოფიციალურ კორესპონდენციას, უხელმძღვანელებს შეხვედრებს და შეხვედრებზე დასასწრებად ოფიციალურად მოიწვევს დაინტერესებულ საზოგადოებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო „სვეკო International AB“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის კონსულტანტთან თანამშრომლობით განახორციელებს პროექტის პრეზენტაციის ორგანიზებას ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან, რათა მათ საშუალება მიეცეთ საჩივრების და რეკომენდაციების წარსადგენად.

საკონსულტაციო ჯგუფი („სვეკო International AB“) კი დახმარებას გაუწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმის ორგანიზებასა და განხორციელებაში. სკსგგ-ის ლოკუმენტი წარმოადგენს ერგბ-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დასტურის საგანს.

გარემოსდაცვითი ნებართვა

ადმინისტრაციული პროცედურები განხორციელდება საქართველოს გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საქართველოს სახელმწიფო საკანონმდებლო მოთხოვნები საჯარო განხილვებთან დაკავშირებით

პროექტის სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ფაზებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი კონსულტაციების პროცესი მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს “მიმოხილვის და დამტკიცების პროცესში”. გამომდინარე იქიდან, რომ ერგბ განიხილავს პროექტის დაფინანსებას, ერგბ-ს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის და საზოგადოების ინფორმირების მოთხოვნები განხილულია დანართ №3 –ში.

დანართი 3

საქართველოს კანონმდებლობისა და ერგბ-ს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნების, კერძოდ კი, საზოგადოებასთან კონსულტაციების მოთხოვნების თანახმად, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა განიხილება პროექტის დაგეგმვის და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების ადრეულ ეტაპზე.

საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვებთან დაკავშირებით (2008) დეტალურად აღწერს საჯარო განხილვების პროცედურას/გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) მიმოიხილვას და განსაზღვრავს ამ უკანასკნელის საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების დროის ხარჩოს, კერძოდ კი:

1. პროექტის შემსრულებელი ორგანიზაცია მოაწვობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვების პროცესს პროექტის იმ სახელმწიფო სააგენტოზე გადაცემამდე, რომელიც პასუხისმგებელია გრანტის თაობაზე ნებართვის გაცემაზე (იმ შემთხვევაში თუ შესასრულებელი საქმიანობები მშენებლობაზე ნებართვას მოითხოვს, მაშინ საჯარო განხილვა ნებართვის მოსაპოვებელი პროცედურების მეორე ფაზის დაწყებამდე მოეწვობა).

2. პროექტის შემსრულებელი ორგანიზაცია გამოაქვეყნებს ინფორმაციას დაგეგმილ საქმიანობებთან დაკავშირებით საჯარო განხილვების მოწყობის შემდეგ. ინფორმაცია გამოიცემა იმ რეგიონის ადმინისტრაციული ტერიტორიული უწყების (თუ არსებობს მსგავსი) მიერ, სადაც დაგეგმილია აღნიშნული საქმიანობის განხორციელება.

3. განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) დაგეგმილი საქმიანობის მიზანი, სახელწოდება და ჩატარების ადგილი;

ბ) ადგილი, სადაც დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას (მათ შორის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში);

გ) მოსაზრებების/შენიშვნების გადაცემის ბოლო ვადა;

დ) საჯარო განხილვების ადგილი და დრო.

4. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) ადმინისტრაციულ დაწესებულებას მიაწოდოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები, რომელიც ნებართვას გამოსცემს პუბლიკაციიდან ერთი კვირის შემდეგ;

ბ) მიიღოს და განიხილოს მოქალაქეთა მიერ გზშ-ს გამოქვეყნების დღიდან 45 დღის განმავლობაში მოწოდებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები;

გ) ჩაატაროს დაგეგმილი აქტივობის საჯარო განხილვები არაუგვიანეს 60 დღისა განცხადების გამოქვეყნიდან;

დ) მოიწვიოს შესაბამისი ადგილობრივი ადმინისტრაციული და სამთავრობო სააგენტოების წარმომადგენლები; გარემოსდაცვის და ბუნებრივი რესურსების მინისტრი და ეკონომიკური განვითარების მინისტრი, ასევე საჯარო განხილვებზე პასუხისმგებელი სხვა ადმინისტრაციული სააგენტოები.

5. განხილვები ჩატარდება საჯაროდ, რომელზეც დასწრება შეეძლება ყველა მოქალაქეს.

6. საჯარო განხილვა გაიმართება იმ რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც დაგეგმილია საქმიანობა.

6. დაინტერესებული საზოგადოება

მოცემული თავი წარმოადგენს ე.წ. „სკოპინგისა“ და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვების პროცესით დაინტერესებულ მხარეებს.

სამთავრობო ორგანიზაციები:

ხელისუფლება ცენტრალურ დონეზე:

1. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო:
 - ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი;
 - გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი;
 - საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი;
 - შავი ზღვის კონვენცია;
 - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინსპექცია;
 - საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური
2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო:
 - მშენებლობის დეპარტამენტი
3. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
 - ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი
 - არქეოლოგიური კვლევების ცენტრი
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
 - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ადგილობრივი მთავრობა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისა და რაიონების ადმინისტრაციები.

მუნიციპალიტეტი	მისამართი	საკონტაქტო პირი	ტელ/ელ-ფოსტა:
ბათუმის მერია	ლუკა ასათინის ქ. 5	რობერტ ჩხაიძე	(88822) 72626
ხელვაჩაურის რაიონი	ხელვაჩაურის რაიონი. აღმაშენებლის № 21	ჯემალ შავლიძე	893786167
ქობულეთი რაიონი	ქობულეთი აღმაშენებლის	ემზარ ჯინჭარაძე	895222488

	№141	
--	------	--

არასამთავრობო ორგანიზაციები

არასამთავრობო ორგანიზაციები შესაძლებელია დაიყოს 3 ჯგუფად:

1. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ გარემოს დაცვის, მართვისა და რეგულირების საკითხებზე:

- აჭარაში მოქმედი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები
- თბილისში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციები

2. სოციალურ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა ეხება ჯანდაცვას, განათლებას, სოციალურ ჩართულობას და სოციოლოგიურ კვლევებს;

3. სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები (როგორცაა მაგალითად იურიდიული, სამეცნიერო და ა.შ.)

კერძო სექტორი

კერძო სექტორი მეტად ფართო და კომპლექსურია. დასაწყისში ჩვენ მოვახდინეთ შემდეგი ქვე-ჯგუფების იდენტიფიკაცია კერძო სექტორის ფარგლებში:

1. კერძო ტურისტული ოპერატორები (სასტუმროები, ა.შ.)
2. ბათუმის პორტი და ბათუმის ნავთობ ტერმინალი
3. ინდუსტრიული სექტორი

ბიზნეს ორგანიზაციები	მისამართი	საკონტაქტო პირი	ტელ/ელ-ფოსტა:
კერძო სექტორის კომპანიები:			
ბათუმის ნავთობ ტერმინალი	ბათუმი, GMT პლანა	დირექტორის თანაშემწე კონსტანტინე მეგრელიშვილი მენეჯერის ასისტენტი თიკო ბაჟინოვა	(995 32) 24 18 18 konstantin@greenoakholdings.com bazhinovat@greenoakholdings.com
სასტუმროები (ბათუმი)			
ინტურისტი	ნინოშვილის ქ. № 1	ლევან თურმანიძე	(88822) 75525 info@intouristpalac.com
დავითი	ბარათაშვილის ქ. № 33	მერაბ ქოქოლაძე	(88822)76530/71718 hoteldv@batumi.net
ელ.ბაკური	ჭავჭავაძის ქ. № 121	ამირან ბაკურიძე	(88822) 76922 bakurilt@yahoo.com

ბიზნეს ორგანიზაციები	მისამართი	საკონტაქტო პირი	ტელ/ელ-ფოსტა:
თანამგზავრი		მურად თურმანიძე	info@hotelsputnik.com
მარინა	სელიმ ხიმშიაშვილის ქ. № 10	თემურ ლომთათიძე	(899 136565) sastumromarina@mail.ru
ლოტოსი	ქუთაისის ქ. 23	ნიაზ შარაშიძე	(88822) 76970
ალიკი	მ. აბაშიძის № 12	ალიკ ინწკირველი	(88822) 75801 alik@gol.ge
მერკური	ჭავჭავაძის ქ. № 12	თენგიზ მათიაშვილი	www.merkury.ltd.ge
მეტროპოლი	ნ. იმნაძის ქ. № 7/9	თენგიზ პატარაია	(88822) 76353 899 161815
წერეთელი	ზ. გორგილაძის 1. № 33	მემედ წერეთელი	(88822) 75873
ბათუმი რიტა	ზ. გამსახურდიას ქ. 16	ციცინო შარაძე	(88822) 73292 (855) 789426 www.hotelritsa.com
ბონი	ვ. მაიაკოვსკის ქ. № 4	მედეა ფალავა	(88822) 74820 hotelboni@gmail.com
ამირანი	მანიაშვილის ქ. № 3	ნანი ნაკაშიძე	(855) 597469 ()
ასტორია	შერიფ ხიმშიაშვილის ქ. № 41	ზურაბ პატარაია	(88822) 772557 Hotel_astoria@mail.ru
სტამბული	ალ. გრიბოედოვის	ემზარ ლორთქიფანიძე	(88822) 33334
სასტუმროები (ჩაქვი)			
პალმა	ბათუმის ქ. №8		877 726594
ოაზისი	ბათუმის ქ. №26	ნუგზარ გოგიტიძე	(88822) 71627 Mailhotel_oasis@gol.ge

პირდაპირი ზეგავლენის ქვეშ მყოფი საზოგადოება:

1. მოსახლეობა და ის საზოგადოება, რომელიც გეოგრაფიულად დასახლებულია ახალი ნავაგსაყრელისა და ბათუმისა და ქობულეთის შეუსაბამო ნავაგსაყრელების მიმდებარე ტერიტორიაზე.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროექტით დაინტერესებული სხვა მცხოვრებნი;
3. ექსპერტები და ინსტიტუტები, ასევე სხვა პროფესიული უწყებები.

7. ინფორმაციის გამომჟღავნება, პროცესი და მონაწილეობა

წინასაპროექტო შესწავლის ეტაპზე (იხილეთ ზემოთ) შეხვედრები გაიმართა ადგილობრივ მოსახლეობასთან პროექტის იდეის, განსახილველი ალტერნატივების და სხვა საკითხთა შესახებ. ღონისძიებები წარმოდგენილია წინასაპროექტო შესწავლის ანგარიშში, თუმცა დეტალური ჩანაწერები, ოქმები და ა.შ. ხელმისაწვდომი არ იყო ამჟამინდელი პროექტის კონსულტანტისათვის.

„სკოპინგის“ პროცესის დროს გასამართი საჯარო განხილვები

საჯარო განხილვების პროცესი, როგორც ეს წინა თავში იყო განხილული, მოითხოვს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ იმავე პროცედურების განმეორებას. ეფექტური და საჭირო საჯარო განხილვების მოწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მათი „სკოპინგის“ ადრეულ ეტაპზე დაწყება. აღნიშნული გზა საშუალებას მოგვცემს გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში (გზშ) ყველა დაინტერესებული მხარის შენიშვნები გავითვალისწინოთ.

(დანართი №2 შეიცავს საჯარო განხილვების პროცესის დროის განრიგს)

7.1. დაინტერესებული საზოგადოების საჯარო განხილვებში მონაწილეობის გეგმის მომზადება

საზოგადოებასთან კონსულტაციების და საჯარო განხილვების გეგმა მოიცავს მონაწილეთა სიას, ლოგისტიკურ და საკომუნიკაციო მასალას;

7.2. ერგბ-ს დასტური სკსგ-ზე

მიმდინარე გეგმა მომზადებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციის მიერ.

7.3. „სკოპინგის“ დოკუმენტაციის გამოქვეყნება

განცხადება „სკოპინგის“ დოკუმენტაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით – გარემოზე ზემოქმედების პირველადი შესწავლა („სკოპინგის“ ანგარიში), საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმა, ასევე საჯარო განხილვების შეხვედრების მოწყობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ იქნება ადგილობრივ გაზეთ „აჭარაში“ და გავრცელდება კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის საშუალებით 2008 წლის 16 სექტემბერს. დოკუმენტის ბეჭდური ვერსია განთავსებული იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციაში, ასევე ჩაქვისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში. „სკოპინგის“ დოკუმენტები, ისევე როგორც საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმა (ინგლისურ და ქართულ ენებზე) განთავსებული იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციაში და სხვა ხელმისაწვდომ ვებ-გვერდებზე (სპეციალური განცხადება გაკეთებულ იქნება აღნიშნული ანგარიშის ვებ-გვერდზე განთავსების შემდეგ). „სკოპინგის“ პროცესზე ერგბ-ს მოთხოვნების თანახმად დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ექნებათ შენიშვნები და რეკომენდაციები მოგვაწოდონ „სკოპინგის“ პროცესსა და სკსგ გეგმაზე, ასევე „სკოპინგის“ სხვა

Sweco

დანართი 3

დოკუმენტებზე. შემოსუნებული დოკუმენტები სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ კომენტარებისათვის გამოქვეყნდება 2008 წლის 16 სექტემბრიდან.

„სკოპინგის“ დოკუმენტები, ისევე როგორც საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმა გამოქვეყნებული იქნება ქართულ და ინგლისურ ენებზე საზოგადოების კომენტარებისათვის, რომლებიც ასევე ხელმისაწვდომი იქნება ერგბ-ს ლონდონის ბიზნეს-საინფორმაციო ცენტრში (მისამართი: One Exchange Square, ლონდონი EC2A 2JN, UK, <http://www.ebrd.com/projects/index.htm>) და ერგბ-ს თბილისის ოფისში (მარჯანიშვილის ქ. №6, 0102, თბილისი, საქართველო. ტელ.: (995 32) 447100), აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციის (მისამართი: ბათუმი, რუსთაველის ქ. №6).

7.4. დაინტერესებულ მხარეთა წერილობითი კომენტარების შეგროვება

დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა შეძლონ კომენტარებისა და რეკომენდაციების მოწოდება გარემოზე შემოქმედების პირველად შეფასებაზე (სკოპინგის დოკუმენტაციაზე) 2008 წლის 16 სექტემბრიდან 16 ოქტომბრამდე. წერილობითი კომენტარები დაიგზავნება შემდეგ მისამართებზე:

თბილისი

ქეთი დგებუაძე

სვეკო ინტერნეშენალის (SWECO International AB)-ის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის კონსულტანტი

ტელ.: (893) 301632

ელ-ფოსტა: ketdgeb@yahoo.com

ბათუმი:

ნოდარ კონცელიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

ტელ.: (877) 232227

ელ-ფოსტა: koncelidze@rambler.ru

7.5. საჯარო განხილვები

საჯარო განხილვების პირველი სერია სკოპინგის დოკუმენტების განხილვის მიზნით დაგეგმილია 2008 წლის 22 სექტემბერს, 11.00 სთ-ზე ქ. ბათუმში, შპს “სანდასუფთავების” ოფისში და 2008 წლის 23 სექტემბერს ქობულეთში, 11.00 სთ-ზე ქობულეთის გამგეობის შენობაში.

გარემოზე შემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის მომზადების პროცესში დაგეგმილი საჯარო განხილვები:

7.6. გარემოზე შემოქმედების შეფასების (გზშ) პირველი პროექტის გამოქვეყნება

გვერდი 12. სულ 29 გვერდი

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პირველი პროექტის საჯარო კომენტარებისათვის გამოქვეყნება მოხდება სხვადასხვა თანამონაწილის მიერ 2008 წლის 18 დეკემბერს. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პირველი პროექტის საჯარო განხილვების დეტალებთან დაკავშირებული განცხადება გავრცელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ ცენტრალური და ადგილობრივი პრესით, ასევე კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) საშუალებით. აღნიშნული განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- განცხადების გამოქვეყნებელი დაწესებულების სრული დასახელება:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;
- 2008 წლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტის სათაური:
„გარემოზე გავლენის შეფასება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვის პროექტის შეფასებისათვის“;
- იმ დაწესებულებების მდებარეობა, სადაც დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ გაეცნონ აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო; ჩაქვის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების გამგებები; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.
- იმ ვებ-გვერდების მისამართები, სადაც განთავსებული იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ელექტრონული ვერსია:
www.denr-adjara.ge, www.moe.gol.ge
- საჯარო პრეზენტაციებისა და კონსულტაციების დრო და ადგილი:
 - ქობულეთის მუნიციპალიტეტი: აღმაშენებლის გამზ. №141 – 11.00 სთ.
 - ბათუმი – შპს “სანდასუფთავება”; ზ. გამსახურდიას ქ. № 46; ბათუმი – 12.00 სთ;
 - ჩაქვის მუნიციპალიტეტის შენობაში – 15:00 საათზე.
- კომენტარების გადაცემის ბოლო ვადა: 2009 წლის 21 იანვარი.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროექტი ინგლისურ და ქართულ ენებზე განთავსებული იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ვებ-გვერდზე (www.denr-adjara.ge) და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.moe.gol.ge 2008 წლის 18 დეკემბერს. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) წინასწარი ბეჭდური ვერსიები ინგლისურ და ქართულ ენებზე განთავსებულ იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში, ასევე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში.

გარდა ამისა, 2008 წლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) წინასწარი ინგლისური ვერსია 120 დღის განმავლობაში საჯარო განხილვებისათვის განთავსებული იქნება 2008 წლის 18 დეკემბრიდან ერგბ-ს ლონდონის ბიზნეს – საინფორმაციო ცენტრში (მისამართი: One Exchange Square, ლონდონი EC2A 2JN, დიდი ბრიტანეთი, <http://www.ebrd.com/projects/index.htm>) და ერგბ-ს თბილისის ოფისში (მისამართი: მარჯანიშვილის ქ. №6, 0102, თბილისი, საქართველო. ტელ.: (995 32) 447100).

7.7. დაინტერესებული მხარეების წერილობითი კომენტარების შეგროვება

ყველა დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა ექნება წერილობითი კომენტარები მოგვაწოდონ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საბოლოო ვერსიის წარდგენიდან 120 დღის განმავლობაში. დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ექნებათ კომენტარები და მოსაზრებები მოგვაწოდონ როგორც საჯარო მოსმენის დროს, ასევე ჩვენს საკონტაქტო პირებს გაუგზავნონ წერილობითი კომენტარები 2008 წლის 18 დეკემბრიდან 2009 წლის 21 იანვრამდე. საჯარო განხილვამდე (შემდგომი საფეხური) ერთი კვირით ადრე მიღებულ კომენტარებს პასუხი გაეცემათ საჯარო განხილვებზე. წერილობითი კომენტარები უნდა დაიგზავნოს შემდეგ მისამართებზე:

თბილისი:

ქეთი დგებუაძე

სვეკო International AB-ის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის კონსულტანტი

ტელ.: (893) 301632

ელ-ფოსტა: ketdgeb@yahoo.com

ბათუმი:

ნოდარ კონცელიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

ტელ.: (877) 232227

ელ-ფოსტა: koncelidze@rambler.ru

7.8. საჯარო მოსმენები

ქვემოთ მოცემულია საჯარო განხილვების დეტალური გეგმა. საჯარო განხილვების შემდგომ ეტაპებზე მოწოდებული იქნება უფრო ზუსტი დეტალები. განცხადება საჯარო განხილვების მეორე ეტაპის დეტალებთან დაკავშირებით გაერცხლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ ადგილობრივი და ცენტრალური მედია საშუალებებით, CENN-ის ქსელითა და აგრეთვე განთავსდება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე 2008 წლის 18 დეკემბერს. საჯარო განხილვები მოეწყობა ბათუმში, ქობულეთსა და ჩაქვში. მოწვეული იქნება ყველა დაინტერესებული მხარე. აღნიშნულ მოსმენაზე პასუხი გაეცემა საჯარო განხილვამდე გაგზავნილ კომენტარებს. აღნიშნული განხილვები გაიმართება:

- ბათუმში - 2009 წლის 22 იანვარს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში, 12:00 საათზე;
- ქობულეთში - 2009 წლის 23 იანვარს, გამგეობის შენობაში, 11:00 საათზე;
- ჩაქვში - 2009 წლის 23 იანვარს, გამგეობის შენობაში, 15:00 საათზე.

საჯარო განხილვებამდე სულ ცოტა 5 დღით ადრე ოფიციალური მოწვევის წერილი გაეგზავნებათ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

7.9. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროექტის ვერსიაში კომენტარების გათვალისწინება

საჯარო განხილვების დროს მიღებული ყველა კომენტარი შეფასებული იქნება მათი შესაბამისობის მიხედვით და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) წინასწარი საშუალო ვერსიაში შესაძლო დადებითი წვლილის მიხედვით. აღნიშნული კომენტარები ასევე განხილულ იქნება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი პერსონალის მიერ. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის ხარისხი გაუმჯობესებული იქნება შესაბამისი და საჭირო კომენტარების გათვალისწინების შედეგად. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საშუალო ვერსიაში კომენტარების გათვალისწინების ბოლო ვადაა: 2009 წლის 18 თებერვალი. აღნიშნულ კომენტარებზე პასუხი გაეგზავნება მის ავტორს.

საჯარო განხილვებიდან 5 დღის ვადაში მომზადდება მიღებული კომენტარების სია და საჯარო განხილვების ანგარიში, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საბოლოო ვერსიაში იქნება გათვალისწინებული.

7.10. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საბოლოო ვერსიის გამოქვეყნება

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საბოლოო ვერსია გამოქვეყნდება 2009 წლის 20 თებერვალს. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საბოლოო ვერსია ასევე მოიცავს გზშ-ს პროექტზე მიღებულ კომენტართა სიას, რომელიც გამოიცემა ცალკე იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიღწეულ იქნას საზოგადოების მაქსიმალური გამოხმაურება.

7.11 საჯარო განხილვები

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საბოლოო პროექტის საჯარო განხილვების დეტალებთან დაკავშირებული განცხადება გავრცელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ ცენტრალური და ადგილობრივი პრესით, ასევე კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) საშუალებით. საჯარო განხილვები გაიმართება ბათუმში, კობულეთსა და ჩაქვში. ყველა დაინტერესებული პირი იქნება მოწვეული. ომენტარები, რომლებიც გაგზავნილ იყო საჯარო განხილვებამდე მიიღებენ პასუხებს უშუალოდ საჯარო განხილვების დროს. აღნიშნული საჯარო განხილვები დაგეგმილია:

- ბათუმში - 2009 წლის 20 მარტს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში, 12:00 საათზე;
- ქობულეთში - 2009 წლის 21 მარტს, გამგეობის შენობაში, 11:00 საათზე;
- ჩაქვში - 2009 წლის 21 მარტს, გამგეობის შენობაში, 15:00 საათზე.

საჯარო განხილვებამდე სულ ცოტა 5 დღით ადრე ოფიციალური მოწვევის წერილი გაეგზავნებათ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

7.12 გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) პროექტის ვერსიაში კომენტარების გათვალისწინება და გარემოს დაცვის სამინისტროსათვის გზშ-ს საბოლოო ვერსიის წარდგენა

ყველა კომენტარი, წერილობითი, თუ საჯარო განხილვის დროს წარმოდგენილი, განხილულ იქნება და შესაბამისად გზშ-ს საბოლოო ვერსიაში გათვალისწინებული. აღნიშნული კომენტარები განხილულ იქნება აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის წარმომადგენლებთან. გზშ-ს საბოლოო ვერსიის ხარისხი გაუმჯობესებულ იქნება მასში შესაბამისი და მნიშვნელოვანი კომენტარების გათვალისწინებით.

გზშ-ს საბოლოო ვერსიაში კომენტარების გათვალისწინების საბოლოო ვადა: 2009 წლის 27 მარტი.

საჯარო განხილვების ანგარიში და წარმოდგენილი კომენტარების სია მომზადებული და თანდართული იქნება გზშ-ს საბოლოო ვერსიაში საჯარო განხილვებიდან 5 დღის ვადაში.

7.13 გზშ-ს საბოლოო დამტკიცებული ვერსიის გამოქვეყნება

გზშ-ს საბოლოო დამტკიცებული ვერსია გამოქვეყნდება 2009 წლის 20 აპრილს. გზშ-ს პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი კომენტარების სია გამოქვეყნდება ცალკე და აგრეთვე, თანდართული იქნება გზშ-ს საბოლოო ვერსიის.

8. საზოგადოების კომენტარები და ბასაჩივრების პროცედურა

საჩივარი, შესაძლებელია განიმარტოს როგორც აქტუალური პრობლემა, რომელიც შესაძლებელია გახდეს საჩივრის საფუძველი. როგორც საერთო პოლიტიკის გამტარებელი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო პროაქტიურად იმუშავებს საჩივრების პრევენციის მიზნით გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ზომების გატარების გზით, რაც საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ და წინასწარ გავუმკლავდეთ იმ პრობლემებს, სანამ მოხდება მათი გასაჩივრება. პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე მოსალოდნელია სხვადასხვა ტიპის პრობლემატური საკითხებისა და მათთან დაკავშირებული საჩივრების გამოვლენა. შესაბამისად, გასაჩივრების პროცედურა განხორციელდება სპეციალურ ფაზაში, რომელიც სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ იქნება განხორციელებული.

ქვემოთ მოცემულია პროექტის მოსამზადებელ პერიოდთან დაკავშირებული გასაჩივრების პროცედურა, მათ შორის წინასწარი შესწავლა და ალტერნატივების შეფასება, გარემოზე ზეგავლენის ანალიზი და დიზაინი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და ბათუმი, ჩაქვისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებს მთავარი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საჩივრების შეგროვებასა და მათ დაძლევაზე, მაშინ როცა სვეკო ინტერნემენალის საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტი დახმარებას აღმოუჩინებს აღნიშნულ პროცესს გასაჩივრების პროცედურის მომზადებით, პასუხისმგებელ ინსტიტუტებზე რჩევის მიცემით და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აღნიშნულ კომენტარებზე რეაგირებით.

პასუხისმგებელი ორგანოებიდან შეგროვებული საჩივრები მიეწოდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს. მსგავსი სისტემა აღნიშნული საჩივრების ერთდროულად შეგროვების საშუალებას მოგვცემს. პასუხისა და კომენტარის მომზადების პროცესში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო და სვეკო ინტერნემენალის საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის კონსულტანტი კონსულტაციებისათვის მიმართავენ შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებს (მუნიციპალიტეტებს).

საჩივრების ტიპები

გვერდი 16. სულ 29 გვერდი

Sweco

დანართი 3

პროექტის მოსამზადებელ საფეხურზე ნაკლებად მოსალოდნელია მივიღოთ მშენებლობის ფაზის გავლენასთან (ხმაური, მტვერი, გამონახოლოქვი, ვიბრაცია, მოძრაობის უსაფრთხოება, ა.შ.) დაკავშირებული საჩივრები. ყველაზე სავარაუდოდ, საჩივრების საფუძველი შესაძლებელია გახდეს ადგილობრივი მოსახლეობის, კერძო ბიზნესის სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა მონაწილეების საჩივრები, რომლებიც დაკავშირებული იქნება შემდეგ საკითხებთან:

- ჩაქვის დასახლების მე-7 რაიონში ახალი ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობასთან დაკავშირებით გადასახლების საკითხები;
- ახალი ნაგავსაყრელი პოლიგონის შესაძლო გავლენა ბუნებრივ გარემოზე: ატმოსფერო და წყლის ხარისხი, მიმდებარე ტერიტორიებზე დანალექების შესაძლო გავრცელება, ლანდშაფტის შეცვლა, სუნთან დაკავშირებული პრობლემა;
- წინასწარ გარემოსადაცვით ზემოქმედებასთან დაკავშირებული ჯანდაცვის და უსაფრთხოების პოტენციური საკითხები;
- წინასწარ გარემოსადაცვით ზემოქმედებასთან დაკავშირებული ეკონომიკური დანაკარგები (სოფლის მეურნეობა, ტურიზმი);
- ბათუმისა და ქობულეთის არსებული შეუსაბამო ნაგავსაყრელების დახურვა: გარემოს დაბინძურების პროცესის გაგრძელება და არასათანადო დახურვით გამოწვეული ჯანმრთელობისა და ეკონომიკური სახის პრობლემები;
- ნარჩენების შეგროვების არასწორი დაგეგმვა: საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც არ ემსახურება ნარჩენების მართვის სამსახური; ან საზოგადოების ნაწილისათვის ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ გაწეული არაეფექტური სამსახური, ა.შ.

საჩივრის აღძვრა შეუძლია ნებისმიერ პირს პასუხისმგებელ ორგანოსთან ერთად, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ამ უკანასკნელის გამოცდილებას საზიანო შედეგი მოაქვს საზოგადოებაზე, გარემოსა და ცხოვრების ხარისხზე. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ:

- საზოგადოების წევრებზე უარყოფითი ზეგავლენა, მაგ.: ფინანსური დანაკარგები, ფიზიკური ზიანი;
- ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, ასევე გარემოზე ზიანი;
- სტანდარტებისა და იურიდიული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- ნებისმიერი სახის დარღვევა;
- კრიმინალური საქმიანობა;
- არასათანადო ქცევა და არაეთიკური საქციელი;
- ფინანსური დაუღვერობა ან გაყალბება;
- ნებისმიერი ზემოხსენებული დანაშაულის დამალვის მცდელობა.

პასუხისმგებელი უწყებები გადაამოწმებენ მათ მიერ მიღებულ ყველა საჩივარს. ზოგ შემთხვევაში თუ საჩივარი არ არის დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან, პასუხისმგებელი პირები წერილობით განუმარტავენ მომჩივანს საკითხის ვითარებას. სხვა შემთხვევებში, პასუხისმგებელი უწყებები გამოიკვლევენ საკითხს და მის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან და გამოავლენენ ზომებს, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნება აღნიშნული ინციდენტის განმეორების თავიდან აცილებისათვის.

საჩივრების წარდგენა

გვერდი 17. სულ 29 გვერდი

Sweco

დანართი 3

აჭარაში ნებისმიერ პირს ან უწყებას შეუძლია პასუხისმგებელი პირის წინაშე აღძრას საჩივარი. პასუხისმგებელი პირები დეტალურად განიხილავენ ოფიციალურ დონეზე მიღებულ საჩივარს.

საჩივარი განხილულ იქნება და მიიღება გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, მოხდება თუ არა მისი გათვალისწინება.

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ უკავშირდება დაგეგმილ პროექტს, ან თუ პასუხისმგებელი უწყება აღმოაჩენს, რომ ისინი მოქმედებენ განცხადებული ქვეყნის ან საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მაშინ საჩივარი აღარ განიხილება. აღნიშნულ შემთხვევაში იგი წერილობითი განმარტების სახით გადაეცემა საჩივრის ავტორს.

ყველა სხვა შემთხვევაში პასუხისმგებელი უწყებები გამოიკვლევენ განიცადეს თუ არა მათ მარცხი გამიზნული სტანდარტით მუშაობის დროს და თუკი განიცადეს, ასეთ შემთხვევაში მის მიერ გამოვლენილ იქნა ზომები, რომლის მიღებაც შესაძლებელი იყო აღნიშნული ინციდენტის განმეორების თავიდან აცილების მიზნით.

გასაჩივრების პროცედურის საჯაროობა მიიღწევა საჯარო კონსულტაციების პროცესის მეშვეობით, რომელიც შენარჩუნდება პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების დროს. აღნიშნული მექანიზმი აღწერილ იქნება ცალკეულ ბროშურაში. გასაჩივრების მექანიზმები პროექტის განხორციელების ეტაპზე შემუშავდება და წარმოდგენილი იქნება გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობათა გეგმაში გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) მიმდინარე პროცესის ფარგლებში.

საჩივრის შესახებ შეტყობინება

საჩივრის შესახებ შეტყობინების რამდენიმე გზა არსებობს:

1. საჩივრის სრული ფორმის (იხილეთ დანართი) გადაგზავნა ფორმის/ბროშურის უკანა ყდაზე მოყვანილ მისამართზე;
2. უფროს პასუხისმგებელ უწყებასთან დაკავშირება. საკონტაქტო დეტალები ასევე მოწოდებულია აღნიშნული ფორმის/ბროშურის ბოლო გვერდზე;
3. წერილის გადაგზავნა შემდეგ მისამართებზე: koncelidze@rambler.ru; ketdgeb@yahoo.com;
4. აჭარაში აღნიშნულზე პასუხისმგებელ პირთან უშუალოდ დაკავშირება: 877 232227;
5. ასევე, შესაძლებელია საჩივრის ფორმის პასუხისმგებელი პირის – აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ფოსტაში დატოვება. მისამართი: ვ. ორგასალის ქ.№ 124.

საჩივრის განხილვის პროცესი

რიგ ინსტანციებში შესაძლებელი გახდება საჩივრის პირდაპირი გზით გადაჭრა. სადაც ეს უკანასკნელი არ იქნება შესაძლებელი, აჭარაში მოქმედი პასუხისმგებელი უწყება იმოქმედებს ქვემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯების შესაბამისად:

ნაბიჯი 1: საჩივრის მიღება

როგორც კი პასუხისმგებელი უწყება მიიღებს შევსებულ ფორმას ან პრობლემის შესახებ ოფიციალურ ცნობას, ჩვენს მიერ დანიშნული იქნება აღნიშნულ საჩივარზე პასუხისმგებელი პირი.

გვერდი 18. სულ 29 გვერდი

ნაბიჯი 2: გაცნობა

პასუხისმგებელი უწყების საკონტაქტო პირი დაადასტურებს საჩივრის მიღებას წერილობითი ფორმით საჩივრის მიღებიდან 10 სამუშაო დღეში.

ნაბიჯი 3: გამოძიება

პასუხისმგებელი უწყება მუშაობას გასწევს ყოველი საჩივრის მიზეზის დადგენის მიზნით. შესაძლებელია დაგვჭირდეს აღნიშნული დროის განმავლობაში მომჩივანთან დაკავშირება.

ნაბიჯი 4: რეზოლუცია

როგორც კი პასუხისმგებელი უწყების მიერ გამოძიებულ იქნება საჩივარი, მომჩივანს წერილობითი ფორმით გადაეგზავნება გამოძიების შედეგები და ჩვენს მიერ შემოთავაზებული საჭიროდ მიჩნეული სამოქმედო კურსი.

თუ მომჩივანი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საჩივარი დადებითად იქნება გადაწყვეტილი, მასთან გაფორმდება საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ განცხადება.

საჩივარი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოხდება მისი ხელახალი შეფასება და გაიმართება მომჩივან მხარესთან შემდგომი დიალოგი სამომავლოდ მისაღები ზომების განხილვის მიზნით.

ნაბიჯი 5: შედეგი.

აჭარაში პასუხისმგებელი უწყება შესაძლოა დაუკავშირდეს მომჩივანს გვიან ეტაპზე იმის დასადგენად, რომ მიმდინარე საქმიანობებთან დაკავშირებით რაიმე წინააღმდეგობა არ შეინიშნება.

აჭარაში პასუხისმგებელი უწყება ყველა საჩივარის მონიტორინგს განახორციელებს, რომელიც ასევე უზრუნველყოფს, რომ გეგმა ვითარდება და იგი მოწონებულია პასუხისმგებელი პირის მონიტორინგის საბჭოს მიერ (თუ საჭიროა განხილულია მომჩივანთან ერთად) დაუკმაყოფილებელი საჩივრებისათვის რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში. აღნიშნული გეგმის მიზანი იქნება საჩივრების სწრაფი და სამართლიანი გზით დაკმაყოფილება.

კონფიდენციალობა და ანონიმურობა

შესაძლებელია მომჩივანმა მოისურვოს აღნიშნული პროცესის დროს კონფიდენციალურობის შენარჩუნება. თუ ეს უკანასკნელი კომპანიას მიმართავს თხოვნით დაიცვას მისი ვინაობა, მისი გამხელა არ მოხდება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე. საჩივრის გადაცემის დეტალები დაცული იქნება იმ გუნდის პასუხისმგებლობის ქვეშ, რომლის პასუხისმგებლობაში შედის აღნიშნული საჩივრის დაკმაყოფილება. თუმცა, შესაძლებელია ისეთი სიტუაცია წარმოიშვას, რომ შეუძლებელი გახდეს აღნიშნული პრობლემის გადაჭრა მომჩივანის ვინაობის გამხელის გარეშე (მაგალითად როდესაც საჭიროა სასამართლოში ჩვენების მიცემა). საგამოძიებო გუნდი მომჩივანთან ერთად განიხილავს თუ როგორ უნდა მოხდეს მისი საუკეთესო გზით მოგვარება.

თუ მომჩივანი კომპანიას არ გაუმხელს თავის ვინაობას, შესაძლებელია ამან უფრო გაართულოს საქმის გამოძიება, მომჩივანის პოზიციის დაცვა და შესაბამისი რეაგირება. შესაბამისად, კომპანიის მიერ ანონიმურ საჩივრებს უპირატესობა არ მიენიჭებათ. თუ მომჩივანი მოითხოვს პრობლემის ანონიმურად გადაჭრას, მაშინ საჭიროა საკმარისი ფაქტებისა და მონაცემების მოწოდება, რაც გუნდს საშუალებას მისცემს მისი დახმარების გარეშე გამოიძიოს იგი.

გარემოზე ზემოქმედების ანგარიშზე (გზშ) კომენტარების გათვალისწინება

გარემოზე ზემოქმედების ანგარიშზე (გზშ) პროცესში დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციების ერთ-ერთი მთავარი მიზანია ზემოხსენებული ანალიზის გაუმჯობესება. ეს იმას გულისხმობს, რომ დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციების შედეგად მიღებული შენიშვნები ზედმიწევნით გულდასმით იქნება გათვალისწინებული.

ზემოხსენებული შენიშვნების გათვალისწინების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები:

- მოხდება ყველა კომენტარის დოკუმენტალურად გაფორმება კომენტარის ავტორის დეტალებითურთ;
- თანამონაწილის მიერ გაკეთებულ კომენტარებზე მოხდება შესაბამისი რეაგირება;
- ყველა კომენტარი შეფასდება გარემოზე ზემოქმედების ანგარიშზე (გზშ) შესაბამისად;
- კომენტარების შინაარსი შეფასდება მათი პირველადი შესწავლის საფუძველზე;
- კომენტარები გათვალისწინებული იქნება გარემოზე ზემოქმედების ანგარიშზე (გზშ) საბოლოო ვერსიაში, თუ ისინი აუმჯობესებენ დოკუმენტის ხარისხს.

შეუსაბამო კომენტარები, რომლებიც ვერ გააუმჯობესებენ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ხარისხს, მოყვანილ იქნება ცალკეულ სიაში და შესაბამისი რეაგირებისათვის გადაეცემა პროექტის გუნდს.

დანართი №1

საჯარო საჩივრის ფორმა

აჭარის №	
სახელი, გვარი	
საკონტაქტო ინფორმაცია გთხოვთ აღნიშნოთ თუ როგორ ისურვებთ თქვენთან დაკავშირებას (ფოსტით, ტელეფონით, ელ-ფოსტით)	<input type="checkbox"/> ფოსტით: გთხოვთ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტის მისამართი <hr/> <hr/> <input type="checkbox"/> ტელეფონით: <hr/> <input type="checkbox"/> ელ.ფოსტით <hr/>
კომუნიკაციისათვის სასურველი ენა	<input type="checkbox"/> ქართული <input type="checkbox"/> ინგლისური <input type="checkbox"/> რუსული

ინციდენტის ან საჩივრის აღწერა:		რა მოხდა? სად მოხდა? ვის შეემთხვა ეს? პრობლემის შედეგი?
ინციდენტის ან საჩივრის თარიღი:		
	<input type="checkbox"/> ერთჯერადი ინციდენტი/საჩივარი (თარიღი-----): <input type="checkbox"/> მოხდა რამდენიმეჯერ (რამდენჯერ?---) <input type="checkbox"/> მიმდინარე (ამჟამად არსებული პრობლემა)	
თქვენი აზრით როგორ უნდა მოხდეს პრობლემის გადაჭრა?		
<p>ხელმოწერა: _____</p> <p>თარიღი: _____</p> <p>გთხოვთ აღნიშნული ფორმა დაუბრუნოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს; მისამართი: ვ. გორგასალის ქ. 124, ტელ.:(877)232227</p> <p>ელ.ფოსტა: koncelidze@rambler.ru, nkoncelidze@yahoo.com</p>		

დანართი №2 – დროის განრივი

საქმიანობა		სექ	ოქტ	ნოე	დეკ	იანვ	თებ	მარტ	აპრ
1	კომუნიკაციის გეგმის მომზადება	10							
2	აჭარის PIU –ს მიერ კომუნიკაციის გეგმის დამტკიცება	15							
საზოგადოების მონაწილეობა სკოპინგის ფაზაში									
3	დაგეგმილ აქტივობასთან დაკავშირებით განცხადების გამოქვეყნება და სკოპინგის ანგარიშის დასრულება.	16							
4	სკოპინგის ანგარიშის გამოქვეყნება; დოკუმენტების ვებსაიტებზე განთავსება, აგრეთვე ბეჭდური ვერსიების ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში განთავსება.	16							
5	საზოგადოებასთან კონსულტაციების პირველი რაუნდის შეხვედრები და საჩივრების წარდგენის მექანიზმის გაცნობა ბათუმსა და ქობულეთში.	22-23							
6	დაინტერესებული მხარეებიდან კომენტარების შეგროვება.	24	-	12					
7	გზშ-ს პროექტში კომენტარების გათვალისწინება.	16	15						
8	დაგეგმილ აქტივობასთან დაკავშირებით განცხადების გამოქვეყნება და სკოპინგის ანგარიშის დასრულება.		15-22						
გზშ-ს მომზადებისა და დამტკიცების ფაზა									
9	გზშ-ს პირველი პროექტის გამოქვეყნება. დოკუმენტების ვებსაიტებზე განთავსება, აგრეთვე ბეჭდური ვერსიების ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში განთავსება. გზშ-ს პროექტის წარდგენა ერგბ-ს ოფისისათვის.				18				
10	გზშ-ს პირველ პროექტზე დაინტერესებული მხარეებიდან კომენტარების შეგროვება.				18	21			
11	გზშ-ს პირველ პროექტზე საზოგადოებასთან კონსულტაციების პირველი რაუნდის შეხვედრები და საჩივრების წარდგენის მექანიზმის გაცნობა ბათუმში, ქობულეთსა და ჩაქვში.					22-23			
12	გზშ-ს პროექტში კომენტარების გათვალისწინება.					26	18		
13	გზშ-ს საბოლოო პროექტის გამოქვეყნება და წარდგენა ერგბ-სთვის.						20		
14	შეხვედრები ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან.						20	20	
15	გზშ-ს პროექტზე საზოგადოებასთან კონსულტაციების მეორე რაუნდის შეხვედრები და საჩივრების წარდგენის მექანიზმის გაცნობა ბათუმში, ქობულეთსა და ჩაქვში.							20-22	
16	კომენტარების გათვალისწინება გზშ-ს საბოლოო ვერსიაში და გზშ-ს საბოლოო ვერსიის წარდგენა გარემოს დაცვის სამინისტროსა და ერგბ-სთვის დასამტკიცებლად.							23-27	
17	ერგბ-ს და გარემოს დაცვის სამინისტროს დამტკიცების პროცესი.								17
18	დამტკიცებული გზშ-ს გამოქვეყნება ვებსაიტზე (ერგბ, MoE, Adjara MoE)								20

დანართი №3 - საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო კონვენციები

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობისა და ერგბ-ს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნების, კერძოდ კი, საზოგადოებასთან კონსულტაციების მოთხოვნების თანახმად, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა განიხილება პროექტის დაგეგმვის და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების ადრეულ ეტაპზე.

საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვებთან დაკავშირებით (2008) დეტალურად აღწერს საჯარო განხილვების პროცედურას/გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) მიმოიხილვას და განსაზღვრავს ამ უკანასკნელის საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების დროის ხარჩოს, კერძოდ კი:

1. პროექტის შემსრულებელი ორგანიზაცია მოაწვობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვების პროცესს პროექტის იმ სახელმწიფო სააგენტოზე გადაცემამდე, რომელიც პასუხისმგებელია გრანტის თაობაზე ნებართვის გაცემაზე (იმ შემთხვევაში თუ შესასრულებელი საქმიანობები მშენებლობაზე ნებართვას მოითხოვს, მაშინ საჯარო განხილვა ნებართვის მოსაპოვებელი პროცედურების მეორე ფაზის დაწყებამდე მოეწვობა).

2. პროექტის შემსრულებელი ორგანიზაცია გამოაქვეყნებს ინფორმაციას დაგეგმილ საქმიანობებთან დაკავშირებით საჯარო განხილვების მოწყობის შემდეგ. ინფორმაცია გამოიცემა იმ რეგიონის ადმინისტრაციული ტერიტორიული უწყების (თუ არსებობს მსგავსი) მიერ, სადაც დაგეგმილია აღნიშნული საქმიანობის განხორციელება.

3. განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) დაგეგმილი საქმიანობის მიზანი, სახელწოდება და ჩატარების ადგილი;

ბ) ადგილი, სადაც დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ საქმიანობასთან დაკავშირებულ ლოკუმენტაციას (მათ შორის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში);

გ) მოსაზრებების/შენიშვნების გადაცემის ბოლო ვადა;

დ) საჯარო განხილვების ადგილი და დრო.

4. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) ადმინისტრაციულ დაწესებულებას მიაწოდოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები, რომელიც ნებართვას გამოსცემს პუბლიკაციიდან ერთი კვირის შემდეგ;

ბ) მიიღოს და განიხილოს მოქალაქეთა მიერ გზშ-ს გამოქვეყნების დღიდან 45 დღის განმავლობაში მოწოდებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები;

გ) ჩაატაროს დაგეგმილი აქტივობის საჯარო განხილვები არაუგვიანეს 60 დღისა განცხადების გამოქვეყნებიდან;

დ) მოიწვიოს შესაბამისი ადგილობრივი ადმინისტრაციული და სამთავრობო სააგენტოების წარმომადგენლები; გარემოსდაცვის და ბუნებრივი რესურსების მინისტრი და ეკონომიკური განვითარების მინისტრი, ასევე საჯარო განხილვებზე პასუხისმგებელი სხვა ადმინისტრაციული სააგენტოები.

5. განხილვები ჩატარდება საჯაროდ, რომელზეც დასწრება შეეძლება ყველა მოქალაქეს.

6. საჯარო განხილვა გაიმართება იმ რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც დაგეგმილია საქმიანობა.

საჯარო განხილვებთან დაკავშირებული ევროპული კანონები

კანონის მე-7 მუხლის თანახმად საჯარო განხილვების შეხვედრის დასრულებიდან 5 დღის განმავლობაში უნდა მომზადდეს შეხვედრის ოქმი, რომელიც ასახავს შეხვედრის დროს პროექტის კომპონენტებთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა კითხვას და მიღებულ განმარტებებს. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) მთავარ ტექსტში საჭიროებისამებრ შეტანილ იქნება სათანადო შესწორებები. დაინტერესებულ მხარეთა კომენტარებისა და შემოთავაზებების მიუღებლობის შემთხვევაში ავტორებს გაეგზავნება განმარტებითი ბარათი. შეხვედრის ოქმები, ისევე როგორც საპასუხო წერილები, განმარტებანი და შესწორებანი გადაეცემა გარემოსდაცვის სამინისტროს ან იმ ადმინისტრაციულ უწყებას, რომელიც პასუხს აგებს გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემაზე, როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დამატება.

ევროპის კანონი საჯარო განხილვებთან დაკავშირებით

ევროპის პარლამენტის 2003/4/EC და ევროკავშირის 2003 წლის 28 იანვრის განკარგულება გარემოსდაცვითი ინფორმაციის საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობის შესახებ აკონკრეტებს შემდგომში ხელმისაწვდომ და გასავრცელებელ ინფორმაციას, რომელიც მოიცავს სულ ცოტა შემდეგს:

- (ა) ავტორიზაციები გარემოსა და გარემოსდაცვით ხელშეკრულებებზე მნიშვნელოვანი გავლენით ან იმ უწყების მითითება, სადაც შესაძლებელია გამოთხოვნილ ან მოპოვებულ იქნას მსგავსი ინფორმაცია მე-3 მუხლის ფარგლებში;
- (ბ) გარემოზე ზემოქმედების შესწავლა და რისკების შეფასებები მე-2 (1) მუხლში მოყვანილ გარემოსდაცვით ელემენტებთან დაკავშირებით ან იმ უწყების მითითება, სადაც შესაძლებელია გამოთხოვნილ ან მოპოვებულ იქნას მსგავსი ინფორმაცია მე-3 მუხლის ფარგლებში.

ევროსაბჭოს 1996 წლის 24 სექტემბრის 96/61/EC დირექტივა გარემოს ინტეგრირებულ დაბინძურების პრევენციასთან და კონტროლთან დაკავშირებით უფრო ზუსტად განსაზღვრავს აღნიშნულ საკითხს (მუხლი 15 ეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საზოგადოების მონაწილეობას ნებართვების მიღების პროცედურაში):

1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ საჭირო ზომები, ისე რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდნენ ევროსაბჭოს 1990 წლის 7 ივნისის 96/61/EC დირექტივასთან გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლების შესახებ (14), რომ დანერგილი სიახლეებისა და არსებით ცვლილებებთან დაკავშირებით ნებართვებზე აპლიკაციები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია დროსი სათანადოდ პერიოდით, რათა საშუალება მიეცეს მას მათთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთოს კომპეტენტური უწყების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნული გადაწყვეტილება კი, რომელიც სულ ცოტა ნებართვის ასლს უნდა

- შეიცავდეს, და ნებისმიერი შესაბამისი სიახლეები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.
2. კომპეტენტური უწყების მიერ ჩატარებული ემისიებისა და ჩაშვების მონიტორინგის შედეგები, უნდა გახდეს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, როგორც ეს ნებართვების შესახებ პირობების მე-9 მუხლშია ფორმულირებული.
 3. ემისიებისა და ჩაშვების მონაცემები ევროკომისიის მიერ გამოცემულ იქნება ყოველ 3 წელიწადში წვერი სახელმწიფოების მიერ მოწოდებულ მონაცემთა საფუძველზე. კომისიას დააწესებს ინფორმაციის გადაცემისათვის საჭირო ფორმატსა და დეტალებს მე-19 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.
 4. პარაგრაფი 1, 2 და 3 გახდება 90/313/EEC განკარგულების მე-3 (2) და (3) მუხლის შეზღუდვების საგანი.

ორჰუსის კონვენცია

2000 წელს საქარველომ მოახდინა ორჰუსის კონვენციის რატიფიკაცია. UNECE კონვენცია მხარს უჭერს და არეგულირებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საზოგადოების ჩართულობას გარემოსდაცვის სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. იგი ითვალისწინებს მასში ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აუცილებლობის პრინციპს მდგრადი განვითარების მისაღწევად. კონვენციის თანახმად, გარემოსდაცვა ხელისუფლების ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის შემადგენელი ნაწილია. სოციალური ჩართულობა კი პროექტების უკეთ განვითარებასა და თანამართველობას უზრუნველყოფს.

1998 წლის 25 ივნისს ორჰუსში (დანია) მიღებული კონვენცია „ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობასთან და გარემოსდაცვით საკითხებში სამართალდამცავი სისტემის ხელმისაწვდომობასთან“ დაკავშირებით ხელმოწერილ და რატიფიცირებულ იქნა ევროპის 40 ქვეყნის მიერ. იგი აცხადებს, რომ:

მუხლი 3 – ზოგადი დებულებანი 3

თითოეული მხარე მხარს დაუჭერს საზოგადოების ცოდნასა და ინფორმირებულობას, კერძოდ გარემოსდაცვით საკითხებზე დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გზებს, გადაწყვეტილებების პროცესში მონაწილეობასა და გარემოსდაცვით საკითხებში სამართალდამცავი სისტემის ხელმისაწვდომობაზე.

მუხლი 6 – საზოგადოების მონაწილეობა სპეციფიკურ საქმიანობებზე გადაწყვეტილების მისაღებად

1. თითოეული მხარე:

(ა) იმოქმედებს წინამდებარე მუხლის დებულებების შესაბამისად იმ გადაწყვეტილებების თანახმად, რომელიც უკავშირდება დანართ 1-ში ჩამოთვლილ საქმიანობებზე ნებართვის გაცემის საკითხს;

(ბ) სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად ასევე იმოქმედებს წინამდებარე მუხლის დებულებების შესაბამისად იმ გადაწყვეტილებების თანახმად, რომელიც არ არის ჩამოთვლილი დანართ 1-ში, რომელთაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეთ გარემოზე. და

დანართი 3

ბოლოს, მხარეები განსაზღვრავენ წარმოადგენს თუ არა შემოთავაზებული საქმიანობა ზემოხსენებული დებულების საგანს;

(გ) უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, სახელმწიფო კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოებით გამოწვეული ვითარების შესაბამისად, უარი თქვას წინამდებარე მუხლის დებულებების შესაბამისად მოქმედებასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია სახელმწიფო თავდაცვის მიზნებით, თუ ეს უკანასკნელი მხარე მიიჩნევს რომ აღნიშნულ მოქმედებას უარყოფითი გავლენა ექნება თავის ზემოხსენებულ მიზნებთან დაკავშირებით.

2. დაინტერესებულ საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდება საჯარო განცხადებით ან ინდივიდუალურად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე გარკვეული დროით ადრე, ადექვატური, დროული და ეფექტური გზებით შემდეგი წყაროების საშუალებით:

(ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადის ფორმა, რომლის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება;

(ბ) შესაძლო გადაწყვეტილებათა ან გადაწყვეტილების წინასწარი ვარიანტის ხასიათი;

(გ) აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი საზოგადოებრივი უწყება;

(დ) წინასწარ გათვალისწინებული პროცედურა, მათ შორის იმასთან დაკავშირებით თუ როგორ და როდის უნდა იქნეს მოწოდებული შემდეგი ინფორმაცია:

(I) პროცედურათა დაწყება;

(II) საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობანი;

(III) ნებისმიერ წინასწარ დაგეგმილი საჯარო მოსმენის ადგილი და დრო;

(IV) შესაბამისი საზოგადოებრივი უწყების მითითება, საიდანაც შესაძლებელია გამოთხოვნილ იქნას შესაბამისი ინფორმაცია, სადაც ასევე განთავსებულია შესაბამისი ინფორმაცია საზოგადოების მიერ გასაცნობად;

(V) შესაბამისი საზოგადოებრივი უწყების ან სხვა ოფიციალური უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გადაეცეს კომენტარები და კითხვები, ასევე ზემოხსენებული კომენტარებისა და კითხვების გადაცემის დრო;

(VI) მითითება იმასთან დაკავშირებით, თუ აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი; და

(ე) ის ფაქტი, რომ საქმიანობა წარმოადგენს სახელმწიფო ან საზღვრებთაშორისი გარემოზე ზეგავლენის სეფასების საგანს.

3. საზოგადოების ჩართულობის პროცედურა სხვადასხვა ფაზისათვის განსაზღვრულ დროის განრიგს მოიცავს, რაც საშუალებას იძლევა საკმარისი დრო გამოინახოს საზოგადოების ზემოხსენებული მე-2 პარაგრაფის შესაბამისად ინფორმირებისათვის და საზოგადოების მომზადებისა და გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილებების მომზადებაში ეფექტური მონაწილეობისათვის.

4. თითოეული მხარე მონაწილეობას მიიღებს საზოგადოების ჩართულობის ადრეულ ეტაპზე, ღია არჩევანის უფლებით, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობის ეფექტურ კამპანიას.

5. თითოეული მხარე საჭიროებისამებრ წახასილებს პერსპექტიულ აპლიკანტებს დაინტერესებული საზოგადოების გამოვლენის მიზნით, დისკუსიებში შესასვლელად და ნებართვის თაობაზე განაცხადის შეტანამდე განაცხადის მიზნებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

6. თითოეული მხარე კომპეტენტური საზოგადოებრივი უწყებებისაგან მოითხოვს უზრუნველყოს დაინტერესებული საზოგადოების მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფო

კანონმდებლობის შესაბამისად ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე აღნიშნულ მუხლში მოყვანილ იმ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, რომელიც გამოქვეყნებულია საზოგადოების ჩართულობის პროცედურის აღნიშნულ ეტაპზე, მხარეთა უფლება უარი განახცადონ გარკვეული ინფორმაციის გაცხადებაზე მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის თანახმად. შესაბამისი ინფორმაცია მოიცავს სულ ცოტა მე-4 მუხლის შემდეგ პირობებს:

(ა) ადგილის აღწერა და შემოთავაზებული საქმიანობის ფიზიკური და ტექნიკური მახასიათებლები, მათ შორის გარემოს მოსალოდნელი დაბინძურებისა და აირების გამოფრქვევების ოდენობა;

(ბ) შემოთავაზებული საქმიანობის გარემოზე შესამჩნევი ზეგავლენის შეფასება;

(გ) გარემოზე ზეგავლენის, მათ შორის ემისიების, პრევენციისა და შემცირების მოსალოდნელი ზომების აღწერა;

(დ) ზემოხსენებულის არატექნიკური მოკლე შინაარსი;

(ე) აპლიკანტის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივების მონახაზი; და

(ვ) სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსათვის წარდგენილი ძირითადი ანგარიშები და რეკომენდაციები იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებული საზოგადოება ინფორმირებული იქნება ზემოთ მოყვანილი მე-2 პუნქტის შესაბამისად.

7. საზოგადოების ჩართულობის პროცედურა საშუალებას მისცემს საზოგადოებას წერილობითი, ან სათანადოდ მიჩნეული ფორმით საჯარო განხილვების დროს წარადგინოს ნებისმიერი კომენტარები, ინფორმაცია, ანალიზები და მოსაზრებანი, რომელსაც ის მიიჩნევს შემოთავაზებული საქმიანობის შესაბამისად.

8. თითოეული მხარე უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებისას სათანადოდ გათვალისწინებულ იქნას საზოგადოების ჩართულობის შედეგი.

9. თითოეული მხარე საზოგადოებრივი უწყების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უზრუნველყოფს აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საზოგადოების დაუყოვნებლივ ინფორმირებას სათანადო პროცედურების შესაბამისად. თითოეული მხარე საზოგადოებას გააცნობს გადაწყვეტილების ტექსტს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზეზებთან და განხილვებთან დაკავშირებით.

10. თითოეული მხარე უზრუნველყოფს იმას რომ, I პუნქტში მოყვანილ საქმიანობასთან დაკავშირებული სამოქმედო პირობების განხილვის ან განახლებისთანავე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ მე-9 მუხლის II პუნქტში მოყვანილი დებულებები გამოყენებულია შეტანილი და შესატანი ცვლილებების პრინციპის დაცვით.

11. თითოეული მხარე, თავისი ქვეყნის სახელმწიფო კანონმდებლობის ფარგლებში, წინამდებარე მუხლის პირობებს შესაბამისობის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებს მთარგმნებს.

ერგბ-ს საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკის მოთხოვნები

ვინაიდან ერგბ განიხილავს პროექტის დაფინანსების საკითხს, ერგბ-ს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის, კერძოდ კი ერგბ-ს საჯარო განხილვების მოთხოვნები დაცული უნდა იქნას პროექტის განხორციელებისას.

ერგბ უზრუნველყოფს ყველა პროექტზე ინფორმაციის მიწოდებას *საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკისა და გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის* მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, მეტად მნიშვნელოვანი „სათბური გაზების“ პროექტებისა და იმ პროექტებისათვის,

რომელიც მოითხოვს შემდგომ გაფართოებასა და ტრანზორმაციას, ბანკი უზრუნველყოფს რაციონალურ კონსულტაციებს.

„A” კატეგორიის პროექტების შესახებ შეტყობინებას რაც შეეხება, წინასწარი შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში, პროექტის სპონსორს მოეთხოვება, პოტენციურად გავლენის ქვეშ მყოფ საზოგადოებას და დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიაწოდოს ინფორმაცია პროექტის შესახებ, რომლის დაფინანსებაც ერგბს-გან მოხდება. აღნიშნული შეტყობინების გავრცელების გზა დამოკიდებულია ადგილობრივ პოლიტიკურ, იურიდიულ და კულტურულ გამოცდილებაზე. ე.წ. „სკოპინგის” პროცესის მეშვეობით პროექტის სპონსორმა უნდა უზრუნველყოს მთავარი საკითხების იდენტიფიკაცია პროექტის გავლენის ქვეშ მყოფ საზოგადოებასთან კონსულტაციებითა და მათი კომენტარების გათვალისწინებით. აღნიშნული პროცესი, ასევე ითვალისწინებს პროექტის სპონსორის ურთიერთობებს ზეგავლენის ქვეშ მყოფი საზოგადოების წარმომადგენლებთან, სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ უწყებებთან და სხვა ორგანიზაციებთან. როგორც „სკოპინგის” პროცესის ნაწილი, პროექტის სპონსორს მოეთხოვება მოამზადოს საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმის (სკსგგ) წინასწარი ვერსია, რომელიც ასახავს იმ საზოგადოებას, რომელზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს პროექტმა, ასევე როგორ წარიმართება კომუნიკაცია გარემოზე ზეგავლენის შეფასების პროცესში და რა სახის ინფორმაცია იქნება გამოქვეყნებული შესაბამის ენებზე (მაგ.: ვებ-გვერდი, ბიბლიოთეკები, ა.შ.), ასევე რა გზით იქნება შესაძლებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების გაკეთება სკსგგ-თან და ასევე სკოპინგის სხვა დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. ერგბ თავის წვლილს გაიღებს საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების გეგმის პროექტზე და უზრუნველყოფს საბოლოო გეგმის ბანკის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ). პროექტის სპონსორების მიერ გარემოზე ზეგავლენის შეფასება (გზშ) ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოების მიერ ღია კომენტარებისათვის ისეთ სტრატეგიულ ადგილებში, როგორცაა პროექტის სამიზნე ტერიტორია და ასევე საჭიროებისამებრ დედაქალაქსა და სხვა მთავარ ქალაქებში. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტები, მათ შორის, არატექნიკური რეზიუმე, საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის უმრავლესობისათვის მათთვის გასაგებ ენაზე. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისათვის შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნას სხვა ხერხები, როგორცაა მაგალითად გარემოზე ზეგავლენის შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, გამოცემული საინფორმაციო ფურცლები. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ერგბ მიაწვდის პროექტის სპონსორებს თავის რჩევებსა და მოთხოვნებს იმ დოკუმენტთან ან დოკუმენტების ერთობლიობასთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (ერგბ-ს მოთხოვნათა შესაბამისად). ზოგიერთ შემთხვევაში მოთხოვნილ იქნება დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სპონსორის მიერ მოწოდებული გზშ-ს ფარგლებში. სხვა შემთხვევაში შესაძლოა წარმოდგენილი გზშ შეიცავდეს მასალას, რომელიც თავისი შინაარსით არ მიეკუთვნება გზშ-ში განსათავსებელ ინფორმაციას და ამოღებულ უნდა იქნას.

საზოგადოებრივი სექტორის პროექტების განხილვის დრო შეადგენს 120 დღეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობიდან ერგბ-ს ღირებულოთა საბჭოს მიერ მისი განხილვის დღემდე. პრაქტიკაში, უფრო კომპლექსური ხასიათის პროექტებისათვის, ბანკის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას საჯარო

განხილვების უფრო გრძელი პერიოდი. ყველა შემთხვევაში პროექტის სპონსორებს მოეთხოვებათ აწარმოონ გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან (გზშ) დაკავშირებული დოკუმენტაცია სანამ ბანკი არ ჩაერთვება პროექტში, ან სულ ცოტა პროექტის დასრულებამდე. კონსულტაციების დასაწყისი განისაზღვრება ერგბ-ს ბიზნეს ინფორმაციის ცენტრის (ბიცი) მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) მიღების დროით, იმ პირობით რომ დოკუმენტები გამოცემულ იქნება იმ რეგიონში, სადაც განხორციელდება პროექტი, ასევე რეგიონში განლაგებულ ერგბ-ს ადგილობრივ ოფისში და პროექტის სპონსორებისა და ერგბ-ს ვებ-გვერდებზე.